

# თვითმმართველობა

ბიუჯეტები ინფოგრაფიკებში

შვიდი თვითმმართველი ქალაქის გაუქმების შედეგად

ნომერის მომზადებისას გამოყენებულია თვითმმართველობის ექსპერტ ირაკლი პაპავას სტატია

## შედეგი

შვიდი ახალი მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტების თანახმად, „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ მხოლოდ 1 072 900 ლარით ნაკლებია გაერთიანებამდე არსებული საქალაქო და სათემო მუნიციპალიტეტების 2017 წლის ჯამურ მაჩვენებელთან შედარებით.

## ხელისუფლების ძირითადი არგუმენტები 7 თვითმმართველი ქალაქის გაუქმების წინ:



კაპიტალური ხარჯების მოცულობა შემცირდა მიმდინარე, მათ შორის, ადმინისტრაციული ხარჯების ზრდის პროპორციულად.



გაუარესდა ხარჯვის ეფექტიანობა - (ხარჯვა არ იყო განვითარებაზე ორიენტირებული).



მინიმუმ გაორმაგდა ადმინისტრაციული ხარჯები, ერთის მაგივრად ორი მუნიციპალიტეტის და, შესაბამისად, მათი ორგანიზაციების შექმნის შედეგად.

## პარაუდი


საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს უმთავრესი არგუმენტი:

თვითმმართველი ქალაქების შემცირება გამოიწვევს 40-50 მილიონი ლარის საბიუჯეტო ეკონომიას, დაზოგილი თანხა რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება.

## შედეგები 1 წლის თავზე

2017 წლის ბიუჯეტები 31/05/2017-ის მდგომარეობით, 2018 წლის ბიუჯეტები 31/05/2018 მდგომარეობით

გასაერთიანებელი მუნიციპალიტეტების - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების შედარება მუნიციპალიტეტების გაერთიანების შემდგომ მონაცემებთან (2017 წლის და 2018 წლის ბიუჯეტების მიხედვით)




წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება  
შემცირდა 1 072 900 ლარით

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შრომის ანაზღაურება  
შემცირდა 1 590 600 ლარით

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არაფინანსური აქტივების ზრდა  
შემცირდა 654 800 ლარით

# შვიდი თვითმმართველი ქალაქის გაუმჯობესების შედეგები


## ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციის ხარჯების შედარება



ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია – შემცირდა 9 513 300 ლარით

არაფინანსური აქტივების ზრდა – შემცირდა 6 320 500 ლარით

## საკრებულოს ფრაქციის ინსტიტუტთან დაკავშირებულ თანამდებობის პირთა რიცხვი



საქართველოს ორგანულ კანონში „ადილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2017 წლის 15 დეკემბერს შესული ცვლილებით თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლობით ორგანოში თანამდებობის პირთა წრე გაიზარდა, საკრებულოს თანამდებობის პირის რანგში საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის აყვანის ხარჯზე.

საქართველოს 69 მუნიციპალიტეტში საკრებულოს ფრაქციის ინსტიტუტთან დაკავშირებულ თანამდებობის პირთა რიცხვმა მოცემული მომენტისთვის 676 ერთეული შეადგინა (საკრებულოს ფრაქციითა 325 თავმჯდომარეს დამატებული ფრაქციის თავმჯდომარეთა 351 მოადგილე), რომელთა ყოველთვიური სახელფასო უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტს, საერთო ჯამში, 1 008 150 ლარი დაუჯდება, რაც წლის განმავლობაში 12 097 800 ლარია.

წარმომადგენლობით ორგანოში თანამდებობის პირთა წრე გაიზარდა 351 პირით

### დასკვნა

7 თვითმმართველი ქალაქისთვის სტატუსის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, ძირითად ნაწილში, ზედმეტად იდეალისტური და რეალობას აცდენილი აღმოჩნდა.

ჩანართი მომზადდა პროექტ „ინფორმირებული მოსახლეობა ძლიერი თვითმმართველობისათვის“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy) NED-ის მიერ.